პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 7 (7318)

11 1983 წ. იანვარი, სამშაბათი.
ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების დღეებში

●

საქართველოს საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს გარდამავალი თასი მინი-ფეხბურთში

●

● ველოსპორტი

წარმატება ლვოვში

იუნიორ ველოსიპედისტთა საკავშირო პირველობაზე და ჩემპიონატზე (წყვილთა ჯგუფურ რბოლაში), რომელიც ლვოვში გაიმართა, წარმატებით იასპარეზეს საქართველოს წარმომადგენლებმა.

4 კმ-ზე წყვილთა რბოლაში **გ. გოდუნოვმა** („დინამო“) და **ა. გეგენავამ** („განთიადი“) აჩვენეს საუკეთესო დრო — 4,50 და მთელი 8 წამით აჯობეს II ადგილზე გასულ ძლიერ ლენინგრადელ სპორტსმენებს. მათვე, წყვილთა ჯგუფურ რბოლაში, ოთხი დღის შედეგების ჯამის მიხედვით II ადგილი დაიკავეს. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის I კურსის სტუდენტმა **ო. მჭედლიშვილმა** („შრომითი რეზერვები“): მან ორჯერ გაიმარჯვა სპრინტერთა შეჯიბრებებში, ადგილიდან 1 კმ და 500 მ-ზე რბოლებში.

აღსანიშნავია აგრეთვე **დ. ტარახენკოსა** და **თ. გიგოლაევის** წარმატება. 1967 წელს დაბადებული ბიჭები მათზე ორი წლით უფროსებს ეპაექრებოდნენ და 24 წყვილში VII ადგილი დაიკავეს.

შეჯიბრების შედეგების მიხედვით დაკომპლექტდა სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები გუნდები, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატისთვის (ვენესუელა, ოქტომბერი) მოემზადებიან. ამ გუნდებში შეიყვანეს ყველა ზემოთ აღნიშნული ჩვენი სპორტსმენი, აგრეთვე სპრინტერი **ა. ხხირტლაძე**, რომელმაც, ტრავმის მიუხედავად, IX ადგილი დაიკავა და გუნდს ჩასათვლელი ქულები შესძინა.

ბოლოს დავსძენთ, რომ ყველა ეს ველოსიპედისტი აღიზარდა ოლიმპიური მზადების ცენტრ „ივერიაში“, რომელსაც ხელმძღვანელობს სპორტის დამსახურებული ოსტატი **ო. ფხაკაძე**. თბილისის ოლიმპიური მზადების ცენტრის გუნდი შეჯიბრების 16 მონაწილეს შორის საერთო II ადგილზე გავიდა. სპორტსმენები ამ ასპარეზობისთვის მოამზადეს სპორტის ოსტატებმა **რ. კუპრეიშვილმა** და **თ. კიკნაძემ**.

ჩემპიონთა სუსტი გამოსვლა

გფრ-ის ქალაქ ბრემენში დამთავრდა ფრენბურთელ ქალთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. წარმატებით იასპარეზეს აშშ-ს წარმომადგენლებმა, რომლებმაც ხუთივე შეხვედრა მოიგეს, მათ შორის მსოფლიო ჩემპიონებთან — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ფრენბურთელებთან. მეორე ადგილზე გავიდა კუბის ნაკრები, მესამეზე — გფრ-ის გუნდი.

ყველასთვის მოულოდნელად სუსტად ითამაშეს ჩინელმა ფრენბურთელებმა: ისინი დამარცხდნენ არა მარტო ტურნირის გამარჯვებულებთან, არამედ კუბისა და გფრ-ის ნაკრებ გუნდებთანაც და საბოლოოდ IV ადგილს დასჯერდნენ. სატურნირო ცხრილში მომდევნო ადგილებზე გავიდნენ პოლონეთისა და საფრანგეთის გუნდები.

დაუვიწყარი, მხიარული...

დასრულდა საქართველოს საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს გარდამავალი თასის გათამაშება მინი-ფეხბურთში. დღეს ალბათ უკვე სკოლაში არიან და თანაკლასელებს უზიარებენ შთაბეჭდილებებს ტურნირის მონაწილენი, ანდა მეზობლის გოგო-ბიჭებს უამბობენ მათი დაუვიწყარი არდადეგების ამბავს. ისინი ხომ ნამდვილ საფეხბურთო ტურნირში მონაწილეობდნენ. რამდენი სიურპრიზით, დრამატიზმით, სიმძაფრითა და სიხარულით იყო ეს დღეები სავსე: შეხვდნენ ფეხბურთზე მათსავით შეყვარებულ თანატოლებს, დამეგობრდნენ, გაეცნენ სახელგანთქმულ ფეხბურთელებს, დიახ, სათქმელი მართლაც დაუგროვდათ:

რამაზ კოლუაშვილი (ქუთაისის „იმერეთი“): ფინალში, ცხინვალის „ალანთან“ შეხვედრისას მოწინააღმდეგემ ფეხი მომარტყა, ძალიან მეტკინა, მაგრამ გოლი რომ გაგვიტანეს, აი, 2:1 რომ გახდა, ტკივილი ვიღას ახსოვდა, დავბრუნდი და დავამთავრე შეხვედრა... დიახ, „ტრავმებიც“ იყო, აბა რომელი ტურნირი გინახავთ უმტკივნეულოდ მთავრდებოდეს. თავგამეტების გარეშე რომელი გამარჯვება მოსულა.

დაუზოგავად, მთელი ძალ-ღონის დაძაბვით რომ თამაშობდნენ ქუთაისელი ბიჭები, იმიტომაც დაეუფლნენ გარდამავალ თასს, იმიტომაც დაიმსახურეს საერთო მოწონება.

ავთო მალაზონია (მახარაძის „გურია“): ყველაზე მეტად „იმერეთის“ თამაში მომეწონა, ერთი ტანმორჩილი ბიჭი ჰყავთ, „პელეს“ ეძახიან, ნახევარდაცვაში თამაშობს, ის დამახსოვრდა ყველაზე მეტად.

ქუთაისელთა მოთამაშეს დათო კანდელაკს საერთო აღიარება ერგო, იგი ტურნირის საუკეთესო ნახევარმცველად დაასახელეს და სახელგანთქმული ქართველი ფეხბურთელის ვ. დარასელიას სახელობის პრიზიც გადასცეს.

ნიკო ტოგონიძე (რუსთავის „იმედის“ გულშემატკივარი): „ჩვენი გუნდის თამაშით მაინცდამაინც კმაყოფილი არა ვარ, ქუთაისელებთან ძალები არ ეყოთ, კიდევ ვარჯიში და შეთამაშებაა საჭირო. მეც მიყვარს ფეხბურთი და ვისურვებდი ამ გუნდში თამაშს. ვნახოთ, მოვსინჯავ ძალებს.

ჩვენი სტუმრებისთვის კი ტურნირი იღბლიანი არ გამოდგა, ისინი სატურნირო ცხრილის ბოლო ადგილებზე აღმოჩნდნენ, მაგრამ ბიჭები უკმაყოფილონი არ არიან.

ვალერი ნიკოლაევი და **იგორ კორნეევი** (რიგის „ბრიგანტინო“): უკმაყოფილოები როგორ ვიქნებით, ძლიერებმა დაგვამარცხეს. ფეხბურთი ვითამაშეთ, საქართველო ვნახეთ, ქართველი ბიჭები გავიცანით...

და თუ მაინც, ვინმე გულნატკენი დარჩა, გვინდა ვანუგეშოთ: შემთხვევით შეიძლება წააგო, მაგრამ, ნურც იმას დავივიწყებთ, რომ შემთხვევით არ იმარჯვებენ.

მოდით, ყველამ ერთად მივულოცოთ გამარჯვებულებს:

საქართველოს საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს გარდამავალი თასის მფლობელ ქუთაისის „იმერეთს“, მეორე და მესამე საპრიზო ადგილებზე გამოსულ ცხინვალელ და ბოლნისელ ნორჩ ფეხბურთელებს.

მივულოცოთ ტურნირის საუკეთესო მეკარეს **ემზარ ჭოლაძეს** (ქუთაისი) აღიარება, მცველს **სერგო გიორგობიანს** (ბოლნისი), ნახევარმცველს **დათო კანდელაკს** (ქუთაისი), თავდამსხმელს ლენინგრადელ — **სერგეი კუპრეიჩევს**, ბომბარდირს — **გოჩა ჩიხრაძეს** (თბილისი), ყველაზე ტექნიკურ ფეხბურთელს — **ალბერტ ბოგუზოვს** (ცხინვალი), ყველაზე ბრძოლისუნარიან ფეხბურთელს **გელა ჭეიშვილს** (ქუთაისი).

მ. კარტოზია.

• • •

სურათებზე: ტურნირის გამარჯვებული ქუთაისის „იმერეთი“. შუაში მწვრთნელი თ. ჭეიშვილი; შეტევაზეა „იმერეთის“ კაპიტანი გ. ჭეიშვილი; სპეციალური პრიზების მფლობელნი (მარცხნიდან): მეკარე ე. ჭოლაძე („იმერეთი“, ქუთაისი); მცველი ს. გიორგობიანი („ახალგაზრდა გეოლოგი“, ბოლნისი), ნახევარმცველი დ. კანდელაკი („იმერეთი“, ქუთაისი), თავდამსხმელი ს. კუპრეიჩევი („დრუჟბა“, ლენინგრადი), ბომბარდირი გ. ჩიხრაძე („სიხარული“, თბილისი).

ე. ხუცურაულის ფოტოები.

ხელბურთელთა თასებზე...

ქალთა გუნდების ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის პირველ მერვედფინალურ მატჩში კიევის „სპარტაკმა“ შინ მოუგო ოდერის ფრანკფურტის (გდრ) „ფორვერტს“ — 26:11 (14:4). გამარჯვებულთაგან ყველაზე შედეგიანი იყო ლ. კარლოვა — 9 ბურთი. განმეორებითი შეხვედრა 15 იანვარს, ოდერის ფრანკფურტში გაიმართება.

ამავე გათამაშების პირველ მერვედფინალურ მატჩში როსტოვის „როსტსელმაშმა“ შინ დაამარცხა იუგოსლავიის დედაქალაქის ხელბურთელები — 29:13 (16:5).

• • •

ვაჟთა გუნდების ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე პირველ მეოთხედფინალურ მატჩში ცსკამ შინ დაამარცხა გდრ-ის კლუბი „მაგდებურგი“ — 30:17 (14:5).

ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდმა გაიმარჯვა უნგრეთის ქალაქ ტატაბანიას „ბანიასთან“ შეხვედრაში —29:18 (17:10).

• • •

სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟთა გუნდმა კიდევ ორი მატჩი გამართა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ჰანოვერში მან დაამარცხა მასპინძელთა ეროვნული გუნდი — 19:18, ხოლო შემდეგ კილში გაიმარჯვა — 25:21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი ჯანმრთელობა შენს ხელთაა!

მიზანი — სრული ჰარმონია

ერთხელ თურმე სოკრატეს ჰკითხეს: „რა არის ადამიანისთვის ყველაზე ძვირფასი ცხოვრებაში. სიმდიდრე თუ სახელი?“

— არც სიმდიდრე და არც სახელი ადამიანს ბედნიერს არ შეჰქმნის. ჯანმრთელი ღარიბი სნეულ მეფეზე ბედნიერიაო — უთქვამს ფილოსოფოსს.

ცნობილი ამბავია, რომ თანამედროვე კულტურული ადამიანი თავს ვერ მოიწონებს განათლებით, თუ იგი ფიზიკურადაც არ არის სრულყოფილი. პასუხი იმაზე, თუ ადამიანი რატომ დღემდე ვერ ახერხებს ინტელექტუალურ შესაძლებლობათა მხოლოდ 10–15 და ფიზიკური უნარის 30–35 პროცენტზე მეტი გამოავლინოს, გამოწვეულია იმით, რომ პიროვნების ფიზიკური და სულიერი განვითარება ჯერ კიდევ არ მოქცეულა ჰარმონიაში.

დღეს უკვე ცხადია, რომ უმჯობესია თუ ადრეულ პერიოდში ჩაეყრება საფუძველი ფიზკულტურასა და სპორტთან ბავშვის მეგობრობას. ფიზიკური აღზრდის პირველი საფეხური კი ოჯახია. ახალგაზრდა მშობლები ბავშვის დაბადებიდანვე უნდა ზრუნავდნენ მისი ორგანიზმის გაკაჟებისათვის. მერე ნორჩის ფიზიკური აღზრდა გრძელდება ბაგაბაღებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, მოზარდთა ფიზიკური აღზრდა მეტად რთული პროცესია. რთული იმიტომაც, რომ მუშაობის კლასიკურმა ფორმებმა და მეთოდებმა ერთბაშად მოითხოვეს გადასინჯვა, შესწორება, და ყოველივე ეს დაკავშირებულია აქსელერაციის პროცესთან.

აქსელერაცია — თანამედროვე მოზარდების მოწიფულობის დაჩქარება — იწყება ჯერ კიდევ ბავშვის დაბადებამდე. მაგალითად, თანამედროვე ახალშობილის საშუალო სიმაღლე, წონა, თავის გარშემოწერილობა და სხვა ფიზიკური მონაცემები გაცილებით მაღალია, თუნდაც ამ რამდენიმე ათეული წლის წინანდელთან შედარებით. გასულ საუკუნეში ერთი წლის ჩვილი 1–2 კილოგრამით ნაკლებს იწონიდა და სიმაღლეც 5 სანტიმეტრით ნაკლები ჰქონდა. ვიდრე იმავე ასაკის დღევანდელ ახალშობილს. ზრდის პროცესი შემდგომ წლებშიც გაგრძელდა და ახლანდელი მოზარდები საბოლოო ჯამში 15–20 სანტიმეტრით მაღლები არიან და 9–10 კილოგრამით მეტს იწონიან. მაგრამ საქმე მხოლოდ ბუნებრივი ფიზიკური მონაცემები როდია. დაჩქარებულია ჩვენი თანამედროვე მოზარდების ბიოლოგიური განვითარებაც. ისინი სქესობრივადაც 2–3 წლით ადრე მწიფდებიან, რაც მრავალ პრობლემას ქმნის და დღის წესრიგში დგება აღზრდის ტრადიციების გადასინჯვის საკითხი. ეს ეხება ფიზიკურ აღზრდასაც, მაგრამ, ვიდრე უშუალოდ ამ საკითხზე ვისაუბრებდეთ, ჯერ ის უნდა ვთქვათ, რომ ფიზიკური კულტურისა და სპორტის მნიშვნელობა და როლი გაცილებით მასშტაბურია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. რა გვაქვს მხედველობაში? პირველ ყოვლისა ის, რომ ბავშვობიდან მოწიფულობაში გადასვლის ეტაპზე მოზარდი ფიზიკურად თითქოს მომზადებულად გამოიყურება, მაშინ, როდესაც მისი სულიერი სამყარო ჯერ ისევ უმწიფარია. ამგვარ ეტაპად დღეს გოგონებისთვის 11, ბიჭებისთვის 12 წელია მიჩნეული. სწორედ ამ პერიოდში იწყება მთელი რიგი ბიოლოგიური ცვლილებები ორგანიზმში, მათ შორის სქესობრივი მომწიფებაც. მოზარდისათვის ეს ეტაპი ყველაზე კრიტიკული, ყველაზე მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით საშიშია ის, რომ ამ ასაკში მოზარდი ადვილად ექცევა სხვადასხვა გავლენის ქვეშ.

ამ პროცესში დიდი როლის შერულება შეუძლია ფიზიკურ კულტურასა და სპორტს. ადრეულ ასაკიდანვე ფიზკულტურასა და სპორტში ბავშვის ჩაბმა ხელს უწყობს არა მარტო სწორ ფიზიკურ განვითარებას, არამედ პარალელურად აყალიბებს მოზარდის ხასიათს. ბავშვი ხდება მიზანსწრაფული, ამტანი, ეჩვევა წესრიგს, შრომას, კონტროლს უწევს ემოციებს, უმახვილდება დამოუკიდებელი აზროვნება და, რაც მთავარია, ზემოაღნიშნული კომპონენტების წყალობით ადვილად შეიძლება მოზარდს ავაცილოთ გარე სამყაროს სხვადასხვა არასასურველი გავლენა.

აქ შევეცდებით დაწვრილებით განვმარტოთ ყოველივე, რაც დაგვარწმუნებს იმაში, თუ რამდენად აუცილებელია ფიზიკურ, მაშასადამე ჰარმონიულ აღზრდას ბავშვის დაბადების პირველივე დღიდან მოვკიდოთ ხელი. მშობლებს შევახსენებთ მხოლოდ იმ ჭეშმარიტებას, რომ მოძრაობა ადამიანისათვის თანდაყოლილი ბუნებრივი აუცილებლობაა, რომ მოძრაობა, მოუსვენრობა, რასაც ხშირად სიცელქეს ვეძახით, მხოლოდ ჯანმრთელი ბავშვებისთვისაა დამახასიათებელი. ზოგიერთი მშობელი ყოველნაირად ცდილობს დააოკოს ბავშვი, ტუქსავს, სჯის მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მოუხელთებელი და მოუსვენარია. ცხადია, ასეთი პოზიცია მცდარია. მშობელმა სწორი მიმართულება უნდა მისცეს ბავშვის ენერგიას, მის ბუნებრივ მოთხოვნილებას და მოძრაობისადმი ლტოლვას. სწორედ აქ გვევლინება ფიზკულტურა და სპორტი ერთგულ თანაშემწედ.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ბავშვს თავიდანვე შევუზღუდეთ აქტივობა, გავხადეთ ინერტული. შედეგს, როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, სავალალოს მივიღებთ. ბავშვები თანატოლებს ჩამორჩებიან არა მარტო ფიზიკურ, არამედ გონებრივ განვითარებაშიც. დადგენილია, რომ ფიზიკურად აქტიური მოზარდები უკეთესად მეტყველებენ, ლოგიკურად აზროვნებენ, წარმოსახვისა და ინიციატივის მეტი უნარი აქვთ და მეხსიერებითაც სჯობნიან ინერტულებს.

ცნობილია ისიც, რომ თუ მოზარდმა ადრეულ ასაკშივე არ აითვისა სხვადასხვა მოძრაობები, მერე და მერე მისი შესწავლა გაუძნელდება. ამიტომაცაა, რომ სპორტის ბევრ სახეობაში ადრეულ ასაკში იწყება ნორჩების მომზადება, ამან კი თავის მხრივ დიდი სპორტის ესოდენ გაახალგაზრდავება გამოიწვია. სპორტისადმი ლტოლვა მოზღვავებული ინფორმაციის პირობებში ბავშვებში ადრეულ ასაკშივე ჩნდება, განსაკუთრებით ძლიერდება V–VIII კლასებში სწავლის პერიოდში, შემდეგ კი შედარებით კლებულობს. ამას ადასტურებს საგანგებო ანკეტური გამოკითხვა, რომელიც ჩვენ შერჩევით ჩავატარეთ რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. IX–X კლასებში სპორტულ სექციებში მომეცადინეთა რიცხვის შემცირება რამდენიმე ფაქტორითაა გამოწვეული. მოსწავლეთა ერთი ნაწილი მიზეზად ასახელებს იმას, რომ დრო აღარ რჩება, ზოგიერთმა მხოლოდ იმიტომ დაანება თავი სპორტში მეცადინეობას, რომ არ აღმოაჩნდა დიდი სპორტისთვის აუცილებელი მონაცემები; ნაწილს არ აკმაყოფილებს წვრთნის პირობები და ა. შ. სამწუხაროდ, მიზეზი მრავალია და შესაბამისად — მათი რიცხვიც, ვინც სპორტს ჩამოშორდა. უფროს კლასებში სპორტში მომეცადინეთა რაოდენობა პროცენტულად სოფლად უფრო მეტია, ვიდრე ქალაქად, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ სოფლად ახალგაზრდობის გართობა-დასვენების ერთ-ერთ აღიარებულ საშუალებად კვლავ რჩება ფიზკულტურა და სპორტი. მაგრამ სხვა სურათი იქმნება მას შემდეგ, რაც მოზარდი სკოლას ამთავრებს. ამაზე ქვემოთ.

ახლა ისევ მოზარდთა სპორტის პრობლემებს და სპორტის აღმზრდელობით ფუნქციას დავუბრუნდეთ. ის ფაქტი, რომ IX–X კლასებში სპორტული სექციებიდან ბევრი მოსწავლე მიდის, მერე და მერე თავს იჩენს და თავისებურ დაღს ასვამს არა მარტო თვით ამ ახალგაზრდების პირად ცხოვრებას, არამედ საზოგადოებასაც. სუსტდება მასობრივი და დიდი სპორტის შემაკავშირებელი რგოლი, ახალგაზრდა თავს ანებებს ფიზიკურ ვარჯიშს, რასაც ზოგჯერ ენაცვლება ნიკოტინი და ალკოჰოლი. სუსტი ფიზიკური მომზადება ვლინდება სავალდებულო სამხედრო სამსახურში.

გარდა იმისა, რომ დიდ სპორტს მისცეს საიმედო შევსება, მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის ამოცანებში წინა პლანზეა წამოწეული მისი როლი ახალგაზრდობის აღზრდაში. ტერმინი — „აღზრდა კოლექტივში და აღზრდა კოლექტივით“ ჩინებულად გამოხატავს ამ ამოცანის არსს. სპორტით გატაცება აკავშირებს კოლექტივის წევრებს, ერთსულოვანს ხდის მათ. ეს საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა. ამიტომ წარმოუდგენელია ის კოლექტივი, სკოლისა იქნება ეს თუ საწარმოსი, რომელსაც მოწინავის სახელი აქვს მოპოვებული, ფიზკულტურასა და სპორტშიც არ იყოს სამაგალითო. ყველა კარგად იცნობს თბილისის 77-ე საშუალო სკოლის წარმატებებს. ყველაფერთან ერთად ეს სკოლა ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაშიც სანიმუშოა. სპორტის აღმზრდელობითი ფუნქცია მოჩანს სკოლის კოლექტივის შეკავშირებაში, საერთო დისციპლინაში, წესრიგში, სწავლაში. სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, ყველაზე დამაჯერებელ ფაქტს მოვიყვანთ. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ამ სკოლის აღსაზრდელსა და აღზრდილს საზოგადოებრივი წესრიგი დაერღვიოს ან დანაშაული ჩაედინოს.

გორის ბამბეულის კომბინატის ფიზკულტურის უფროსმა ინსტრუქტორმა, ამჟამად ამავე კომბინატის დირექტორის მოადგილემ ნოდარ დვალმა ამ რამდენიმე წლის წინათ მიჩვენა უბის წიგნაკი, რომელშიც რამდენიმე ათეული ბიჭის გვარი ჰქონდა ჩანიშნული. თურმე თავის დროზე ყველა მათგანი ე. წ. ძნელად აღსაზრდელი იყო. ნოდარს ისინი კომბინატის სპორტულ სექციებში მიუწვევია და ზოგიერთი მათგანის სურვილის მიხედვით საგანგებოდ ველოსპორტისა და კრივის სექციებიც კი გაუხსნია. ასეთია სპორტის აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

ახალგაზრდა, რომელმაც საშუალო სკოლა დაამთავრა და შრომით საქმიანობას იწყებს ან სწავლას აგრძელებს, პროფესიის არჩევასთან ერთად კიდევ ერთი არჩევანის წინაშე დგას — ცდილობს ისეთ კოლექტივში მოხვდეს, სადაც ფიზკულტურასა და სპორტს პატივს სცემენ, სადაც, ასე ვთქვათ, კარგი სპორტული ტრადიციებია. ასეთ შრომით კოლექტივებში უმნიშვნელოა ახალგაზრდა კადრების დენადობაც. არის ისეთი კოლექტივებიც, მაგალითად, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა, გორის რაიონის ვარიანის საბჭოთა მეურნეობა, გარდაბნის რაიონის ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობა და სხვ., სადაც დიდ ყურადღებას უთმობენ ბავშვთა შორის სპორტულ მუშაობას.

სოფლის „სპორტული ყამირის“ ათვისების კარგი მაგალითი მოგვცა მესტიის რაიონმა. მაგრამ ყველაფერი დამოკიდებულია კადრებზე. მესტიის მსგავსად რესპუბლიკის სოფლებს სპეციალისტები თუ არ დაუბრუნდებიან, ეს პრობლემა კიდევ დიდხანს არ მოგვარდება. აქვე კიდევ ერთი ფაქტი უნდა გავიხსენოთ. სულ ახლახანს ქალაქიდან ონის რაიონში მშობლიურ სოფელს ღებს დაუბრუნდა მისი მკვიდრი, ფიზკულტურის სპეციალისტი ვახტანგ ლობჟანიძე, რომელმაც ხელი მოჰკიდა თანასოფლელთა ფიზიკურ აღზრდას. ვფიქრობთ, იგი ამ სოფლის მრავალ ახალგაზრდას გაუკვალავს გზას დიდ სპორტში.

ყველასათვის კარგადაა ცნობილი რა დიდი პრობლემების წინაშე დგას სოფელი. ერთ-ერთია ახალგაზრდობის მიგრაცია. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ახალგაზრდული პრობლემების შემსწავლელი რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის სოფლის ახალგაზრდობის ლაბორატორიამ შეისწავლა 1979–1981 წლებში სოფლის ახალგაზრდობის მიგრაციის სოციალურ-ეკონომიკური საკითხი და ანკეტური გამოკითხვით გამოირკვა, რომ სოფლიდან ახალგაზრდობის მიგრაციის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია სპორტში ჩაბმის ნაკლები შესაძლებლობები. როგორც ხედავთ, ახალგაზრდას, რომელიც სკოლას ამთავრებს, ქალაქისაკენ უჭირავს თვალი იმიტომ, რომ იქ მას სპორტული ოსტატობის ამაღლების შესაძლებლობა ექნება. ამ პრობლემის მოგვარება, ცხადია, ადვილი საქმე არ არის, მაგრამ სოფლის სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა პერსპექტიულ გეგმაში იგი გათვალისწინებულია და მომავალში უთუოდ გადაიჭრება. სამაგალითო სპორტული სოფლები კი ჩვენთან უკვე არის ზუგდიდის, მახარაძის, თერჯოლისა და ლაგოდეხის რაიონებში, სადაც ახალგაზრდობა შესანიშნავად უთავსებს ერთმანეთს შრომას და კულტურულ გართობა-დასვენებას. რესპუბლიკის ბევრ სოფელში ბოლო წლებში ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლები გახსნა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ ცენტრალურმა საბჭომ, რომელიც მკვიდრ საფუძველს ქმნის სოფლის სპორტული იერსახის შესაქმნელად.

თ. გაჩეჩილაძე.

ირბინეთ... ფრთხილად

ალექსანდრო ბევერინი 45 წლისა იყო, მუშაობდა მთავარ ინჟინრად ფირმა „რიჩარდ ჯინორიში“. ექიმთა რჩევით დილაობით დარბოდა. „ეს ათწუთიანი გარბენი სამსახურში წასვლამდე საუკეთესო საშუალებაა თქვენი გულის სნეულებისგან გასაკურნავად — აუხსნეს მას. — მხოლოდ ორ-სამი კილომეტრი კვარტალის ირგვლივ, — მეტი არა“. მაგრამ გასულ კვირადღეს, როგორც ჩანს, ორიოდე წუთით გაუხანგრძლივდა რბენა და აი, შედეგიც — როდესაც შინ ბრუნდებოდა, მოულოდნელად ინფარქტისგან გარდაიცვალა.

...პოლკოვნიკი არტურ სტანგი 42 წლისა იყო, 82-ე ამერიკულ საავიაციო დივიზიაში შტაბის უფროსად მსახურობდა. როგორც თანამოსამსახურენი ირწმუნებოდნენ, პოლკოვნიკი სპორტულ მამაკაცად ითვლებოდა და მუდამ ფორმაში იყო. მისი სიკვდილის შემდეგ კი ექიმებმა განაცხადეს— ტრაგიკულ დასასრულამდე იგი საკუთარ ფიზიკურ შესაძლებლობებში ზედმეტმა თვითდაჯერებულობამ მიიყვანაო. მოულოდნელმა სიკვდილმა მას მოუსწრო ჩრდილო კაროლინის შტატის ფორტ ბრეგში მოწყობილ რამდენიმე კილომეტრიანი გარბენის მიწურულს.

შესაძლოა, ეს შემთხვევები გაზეთების ყურადღების ცენტრში იმიტომაც მოხვდნენ, რომ საქმე ცნობილ პიროვნებებს ეხებოდა. სინამდვილეში კი, სირბილის ჭარბი წყურვილით აღგზნებულ მსხვერპლთა რიცხვი გაცილებით დიდია. „სამწუხაროდ, ზუსტი სტატისტიკური მონაცემები არ გაგვაჩნია — ამტკიცებს ემილიო როველი, მილანის სპორტული მედიცინის ცენტრის დირექტორი,— მაგრამ უდავოა, რომ ბოლო წლებში დილდილობით მოდადქცეული სირბილის მსხვერპლთა რაოდენობა დამაფიქრებლად გაიზარდა“.

გარდა ინფარქტისა, სირბილით გატაცებულთა ყველაზე მთავარი და რეალური საშიშროებისა, ამ ბოლო წლებში ექიმებმა „სირბილურ“ სნეულებათა სხვადასხვა სახეობანი გამოაცალკევეს, რომლებიც ასე თუ ისე უკვე შესწავლილია. არსებობს, მაგალითად, ეგრეთწოდებული „კარტერის სინდრომი“ (ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი ცუდად შეიქმნა ერთ-ერთი ასეთი გარბენის დროს). ორგანიზმის შერყევის ეს ფორმა, როგორც ჩანს, გამოწვეულია არასაკმარისი სისხლის მიმოქცევით, რაც ხანმოკლე გულის წასვლას იწვევს. მაგრამ მსგავსი ინციდენტი არც ისე საშიშია. გონს მოსასვლელად რამდენიმე წუთით მწოლიარე მდგომარეობის უზრუნველყოფაა საჭირო. არსებობს აგრეთვე, ანაფილაქტიკური შოკი — ორგანიზმის ალერგიული რეაქციის ტიპიური სინდრომი, რომელსაც უმალ დაემონება ხოლმე ზოგიერთი ადამიანი, ყვავილის ზოგიერთ მტვერთან, წამალთან ან საკვებთან კონტაქტისას. ალერგიულ რეაქციებს იწვევს ზოგიერთი მწერის ნაკბენიც.

პირველი სიმპტომია — მსუბუქი ქავილი, რაც შემდგომში მთელს სხეულს მოედება. მერე იწყება წვა. ათ წუთში კანი ჭინჭრით დასუსხულივით, წითელი ლაქებით იფარება. იწყება თავბრუსხვევა. ხელფეხი სივდება, ზოგიერთ შემთხვევაში კი გაძნელებული სუნთქვა შეინიშნება. მძაფრდება პირსაქმების შეტევები, გულის მუშაობა დუნდება, წნევა საგრძნობლად ეცემა; დგება კოლაპსის მომენტი, რომელსაც თუ სასწრაფო ზომებს არ მივიღებთ, შეუძლია გამოიწვიოს სიკვდილი.

ზოგიერთ ადამიანს ასეთი რამ ან ჩოგბურთის, ფეხბურთის თამაშისას ემართება, ან მეტად ტემპერამენტიანი თავაწყვეტილი ცეკვისას საღამოს პიკნიკებზე. მაგრამ უბედურ შემთხვევათა უმრავლესობა მაინც სირბილის დროს ხდება.

დღემდე კაციშვილი არ დაეჭვებულა იმაში, რომ მნიშვნელოვან ფიზიკურ დატვირთვებს შეუძლია გამოიწვიოს ორგანიზმის ალერგიული რეაქცია. მეცნიერებას არ შესწევს ამ რეაქციის გაჩენის სრული გამომზეურების უნარი. მაგრამ ერთი რამ ცხადია: გულისა და ანაფილაქტიკურ შეტევათა საფუძველი გადაჭარბებული ფიზიკური დატვირთვა გახლავთ.

„ეს კი იმას ნიშნავს,—გვიმტკიცებს როველი, — რომ ორმოც წელს გადაცილებულებმა უნდა მიმართოთ ექიმს, რომელიც დატვირთვის გრაფიკს შემოგთავაზებთ სირბილის დროს თქვენი შესაძლებლობებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისად“.

„პანორამა“, მილანი.
თარგმნა ვ. მედლიშვილმა.

● ჭადრაკი

გოგონათა საკავშირო

ბაქო, 10 იანვარი, (ტელეფონით, „ლელოს" სპეც. კორ.). აქ დაიწყო სსრ კავშირის მოჭადრაკე გოგონათა ჩემპიონატი. შეჯიბრებაში ერთი ოსტატი ლიტველი ი. ბენისკაიტე, 15 ოსტატობის კანდიდატი, 14 პირველთანრიგოსანი მონაწილეობს, მათ შორის არიან ქეთევან არახამია (თბილისი), ნათია წკეპლაძე და გენრიეტა ლაგვილავა (ორივე—ქუთაისი). ჩემპიონატი შვეიცარიული სისტემით — 9 ტურად ტარდება.

დღემდე გათამაშდა სამი ტური. ლიდერობენ ბენისკაიტე, ე. სედინა (კიევი) — 3–3 ქულა, არახამია, წკეპლაძე — 2–2.

I ტურში არახამიამ კ. ლეუშკინასთან (ლენინგრადი) ხელთ იგდო ინიციატივა და გაიმარჯვა. წკეპლაძემ ნ. სუხონენკოს (დუშანბე) კუ შესწირა ოთხ პაიკში და პოზიციური უპირატესობა მიიღო, რაც საკმარისი აღმოჩნდა მოსაგებად. ლაგვილავა დამარცხდა გ. დენშტეინტთან (ლენინგრადი).

II ტურში ერთმანეთს შეხვდნენ არახამია და წკეპლაძე, გაიმარჯვა თბილისელმა მოჭადრაკემ. ლაგვილავამ წააგო სუხონენკოსთან. ამ დღესაც პარტიები მოიგეს ბენისკაიტემ და სედინამ.

III ტურში არახამია დამარცხდა სედინასთან, წკეპლაძემ მოუგო ო. ლომაკინას, ხოლო ლაგვილავა კვლავ დამარცხდა, ამჯერად ო. სანაბუცულთან (ბელცი). ბენისკაიტემ სძლია ა. აგამამედოვას (ბაქო).

ჩემპიონატი 16 იანვარს დამთავრდება.

დ. ჩირაძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

ორი შეჯიბრება

თბილისის ჭადრაკის სასახლემ საახალწლოდ მოაწყო შეჯიბრება ელვისებურ თამაშში. დიდი ინტერესი გამოიწვია ფინალურმა ტურნირმა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დიდოსტატმა ნ. გურიელმა, საერთაშორისო ოსტატებმა თ. ხუგაშვილმა, გ. ზაიჩიკმა, ზ. სტურუამ, ოსტატებმა ზ. აზმაიფარაშვილმა, ა. ბოკუჩავამ, დ. გედევანიშვილმა, ი. ეფიმოვმა, ი. ჩიქოვანმა და 10–მა ოსტატობის კანდიდატმა.

I ადგილი დაიკავა ეფიმოვმა—14,5 ქულა 17–დან, II — სტურუამ — 14, III–IV ადგილები გაიყვეს აზმაიფარაშვილმა და ზაიჩიკმა –– 12,5–12,5.

გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ სამახსოვრო საჩუქრებით.

დამთავრდა რესპუბლიკური ჭადრაკის სასახლის ტრადიციული ვაჟთა ჩემპიონატი, რომელშიც 15 ოსტატობის კანდიდატი და ერთი პირველთანრიგოსანი მონაწილეობდა.

გაიმარჯვა პ. მესტვირიშვილმა—11 ქულა. ოთხმა მონაწილემ 10,5–10,5 ქულა მოაგროვა, მაგრამ კოეფიციენტთა ცხრილით II ადგილი ხვდა ნ. გათიკოევს, III — ი. ნეჩაევს.

სამივე პრიზიორმა მიიღო საქართველოს პირველობის შესარჩევ ტურნირებში მონაწილეობის უფლება.

ი. ლაპიდუსი,
რესპუბლიკური ჭადრაკის სასახლის დირექტორის მოადგილე.

საახალწლო ნობათი

ახალი წლის წინ ლვოვის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე გაიხსნა რესპუბლიკური საჭადრაკო კლუბი. მოჭადრაკეთა ახალ კერას აქვს სამი სათამაშო და ერთი სატურნირო დარბაზი, სავარჯიშო ოთახი ნორჩ მოჭადრაკეთათვის და სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვ. კარტის საკონსულტაციო ცენტრი.

კლუბის გახსნის ცერემონიალში მონაწილეობდა სსრ კავშირის საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარე, მფრინავი-კოსმონავტი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი ვ. სევასტიანოვი.

სემინარები, ატესტაცია...

გუშინ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში დაიწყო და 20 იანვრამდე გასტანს რესპუბლიკის I და II ჯგუფების ფეხბურთელთა გუნდების მწვრთნელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სემინარები და ატესტაცია. აქვე 24 იანვრიდან 12 თებერვლამდე მოეწყობა რესპუბლიკის ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებულ საფეხბურთო სპორტსკოლებში მომუშავე მწვრთნელების კვალიფიკაციის ასამაღლებელი სემინარები და ატესტაცია, მწვრთნელები სემინარებსა და ატესტაციას გაივლიან 2 ნაკადად, რათა ნორჩ ფეხბურთელებთან მუშაობა სკოლებში არ შეფერხდეს.

მწვრთნელები, რომლებიც არ გაივლიან სემინარებს და არ მიიღებენ ატესტაციას, გუნდებში სამუშაოდ არ დაიშვებიან.

15–20 იანვარს თბილისში გაიმართება II ლიგის IX ზონის გუნდების უფროსების ატესტაცია.

ვ. გრანატკინის სახელობისა

ლენინგრადის დახურულ სპორტდარბაზში გრძელდება ჭაბუკ ფეხბურთელთა ვ. გრანატკინის მემორიალური საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი.

გუშინდელი ტურის ყურადღების ცენტრში იყო [illegible] სსრ კავშირისა და საფრანგეთის ნაკრები გუნდების შეხვედრა, რომელიც დამთავრდა ფრედ — 2:2.

19 და 28 იანვარს

ინგლისის „ასტონ ვილა" (ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი) და ესპანეთის „ბარსელონა" (თასების მფლობელთა თასის მფლობელი) შეთანხმდნენ სუპერთასზე 2 შეხვედრის თაობაზე.

მატჩები გაიმართება 19 იანვარს ბარსელონაში და 28 იანვარს ბირმინგემში.

ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები.

იტალია

„რომამ" XIV ტურში კიდევ უფრო განიმტკიცა ლიდერის პოზიცია — ანგარიშით 2:0 მოუგო „ფკ ჯენოვა 93"–ს. ახალი წარმატება მოიპოვა დებიუტანტმა ვერონის „ჰელასმა", რომელმაც ნეაპოლში დაამარცხა ადგილობრივი „ნაპოლი" — 2:1. ამ მარცხის შემდეგ „ნაპოლიმ" ბოლო მე–16 ადგილზე გადაინაცვლა.

სხვა მატჩები: „ასკოლი" —„ჩეზანა" 1:1, „კატანძარო" — „აველინო" 1:1, „იუვენტუსი" — „კალიარი" 1:1, „პიზა" — „ტორინო" 0:1, „სამპდორია" — „ფიორენტინა" 0:0, „უდინეზე" — „ინტერი" 0:0.

	თ.	ბ.	ქ.
„რომა"	14	23—11	21
„ჰელასი"	14	21—12	20
„იუვენტუსი"	14	18—11	18
„ინტერი"	14	17—12	17

ინგლისი

ამ ქვეყნის ჩემპიონატში ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ „ლივერპულს" პირველი ადგილისთვის ბრძოლაში საერთოდ არა ჰყავს ღირსეული მოქიშპე — 22 ტურის შემდეგ იგი უახლოეს „მდევრებს" 8 ქულით უსწრებს.

XXII ტურით დაიწყო გათამაშების მეორე წრე. „ლივერპულმა" ანგარიშით 5:1 სძლია „ნოთს ქაუნთის". ამავე ტურის დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „არსენალი" — „სუონსი სიტი" 2:1, „ბირმინგემ სიტი" — „მანჩესტერ სიტი" 2:2, „ბრაიტონ ალბიონი" — „უოტფორდი" 1:1, „იფსვიჩ თაუნი" — „საუთჰემპტონი" 2:1, „ლუტონ თაუნი" — „კოვენტრი სიტი" 1:2, „მანჩესტერ იუნაიტედი" — „ასტონ ვილა" 3:1, „ნოტინგემ ფორესტი" — „სანდერლენდი" 0:0, „სტოკ სიტი" — „ნორვიჩ სიტი" 1:0, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი" — „ევერტონი" 2:2, „ვესტ ჰემ იუნაიტედი" — „ტოტენჰემ ჰოტსპური" 2:0.

ადრე გამოტოვებული 3 შეხვედრა ასე დასრულდა: „ასტონ ვილა" — „იფსვიჩ თაუნი" 1:1, „სუონსი სიტი" — „ბირმინგემ სიტი" 0:0, „უოტფორდი" — „ვესტ ჰემ იუნაიტედი" 2:1.

„ლივერპული"	22	55—20	47
„მანჩ. იუნ."	22	31—18	39
„ნოტინ. ფორ."	22	38—30	39

შოტლანდია

XVII ტურში გლაზგოში გაიმართა პრინციპული მატჩი ადგილობრივ გუნდებს „სელტიკსა" და „გლაზგო რეინჯერსს" შორის. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა „სელტიკმა".

პირველ ადგილზე კვლავინდებურად „სელტიკია", რომელსაც 17 თამაშის მერე 31 ქულა აქვს. ამდენივე თამაშიდან 28 ქულით მეორეა „დანდი იუნაიტედი", 18 თამაშიდან 27 ქულა აქვს „აბერდინს".

თურქეთი

წინა წლებისგან განსხვავებით ბრძოლა პირველი ადგილისათვის, მხოლოდ სტამბოლის გუნდებს შორის მიმდინარეობს. მათი მუდმივი მეტოქე, ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონი „ტრაბზონსპორი" ახლა უფერულად გამოდის.

ნათამაშევია 16 ტური. 25 ქულით (1 გამოტოვებული მატჩი) წინაა „ფენერბახჩე". 16 თამაშიდან 23 ქულა აქვს „გალათასარაის", ამდენივე თამაშიდან 22 ქულა — „ბეშიქთაშს".

ესპანეთი

XVII ტურით დამთავრდა გათამაშების პირველი წრე. იგი, უპირველეს ყოვლისა, აღინიშნა შარშანდელი ჩემპიონის „რეალ–სოსიედადის" (სან–სებასტიანი) მარცხით: გუნდი 18 ქულით მხოლოდ მე–8 ადგილზეა.

XVII ტურში მადრიდის „რეალმა" შინ მიიღო „ვალენსია" და გაიმარჯვა ანგარიშით 5:1 („ვალენსია" კვლავინდებურად ბოლო, მე–18 ადგილზეა). ბილბაოს „ატლეტიკმა" ანგარიშით 3:0 სძლია ლას–პალმასის „უნიონს", „ბარსელონას" ასევე სრული უპირატესობა ჰქონდა „ოსასუნასთან" (პამპლონა) 3:0.

დანარჩენი მატჩები: „სელტა" (ვიგო) — „რეალი" (ვალიადოლიდი) 1:0, „ბეტისი" (სევილია) — „სევილია" 1:2, „უნიონი" (სალამანკა) — „რეალი" (სარაგოსა) 2:0, „რესინგი" (სანტანდერი) — „ატლეტიკო" (მადრიდი) 4:0, „სპორტინგი" (ხიხონი) — „ესპანიოლი" (ბარსელონა) 1:0, „მალაგა"— „რეალ–სოსიედადი" (სან–სებასტიანი) 1:0.

„რეალი" (მადრ.)	17	33—13	26
„ატლეტ." (ბილბ.)	17	33—20	25
„ბარსელონა"	17	29—12	22
„რეალი" (სარაგ.)	17	33—18	22
„სევილია"	17	21—12	22

პორტუგალია

XIV ტურში თავისებური სენსაცია მოხდა: ლისაბონის „ბენფიკა", რომელიც აქამდე წაუგებლად თამაშობდა, ბოლოსდაბოლოს დამარცხდა თავისივე ქალაქის „სპორტინგთან" — 0:1. აქ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ „სპორტინგი" პორტუგალიის 1982 წლის ჩემპიონი და თასის მფლობელია.

ჩემპიონობის კიდევ ერთი პრეტენდენტი „პორტო" დამარცხდა აუტსაიდერ „ამარასთან" — 1:2.

„ბენფიკა"	14	32—7	25
„პორტო"	14	30—8	21
„სპორტინგი"	14	27—10	21



უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ევროპელი სნაიპერები

ყოველკვირეულ გამოშვება „ფრანს-ფუტბოლში" ამას წინათ გამოქვეყნდა ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების 1981–82 წლების გათამაშებათა საუკეთესო სნაიპერების სია.

„ფრანს-ფუტბოლის" რედაქციის ტრადიციული პრიზი „ოქროს ბუცი" (დასავლეთგერმანულ ფირმა „ადიდასთან" ერთად) გადაეცა ჰოლანდიის „აიაქსის" თავდამსხმელს ვიმ კიფტს, რომელმაც 32 გოლი გაიტანა. 29–29 ბურთი გაიტანეს ჰოლანდიელმა კეეს კისტმა („აზ–67") და ფრანგმა დელიო ონისმა („ტური"), მაგრამ ვინაიდან კისტმა ეს ბურთები გაიტანა 34 მატჩში, ხოლო ონისმა 38–ში, „ვერცხლის ბუცი" გადაეცა კისტს, ხოლო „ბრინჯაოს ბუცი" — ონისს.

პირველ სამ პრიზიორს გარდა ევროპის საუკეთესო სნაიპერთა შორის მოხვდნენ: ჰანსენი („ოდენსე", დანია) — 28 ბურთი, ჰრუბეში („ჰამბურგი", გფრ) და ჟაკე („პორტო", პორტუგალია) — 27–27, ჟორდაო („სპორტინგი", პორტუგალია), კიგანი („საუთჰემპტონი", ინგლისი) და კინი („ბარსელონა", ესპანეთი) — 26–26, კრინგსი („ბევენი", ლუქსემბურგი) და ვან-დენ-ბერგი („ლიერსი", ბელგია) — 25–25.

სსრ კავშირის 1982 წლის საუკეთესო სნაიპერმა, ტაშკენტელმა ა. იაკუბიკმა, როგორც ცნობილია, 31 მატჩში გაიტანა 23 გოლი.

●

პრაღის ყოველკვირეულმა გამოცემა „სტადიონმა" განვლილი მსოფლიო ჩემპიონატის ფოტოებიდან შეარჩია რამდენიმე, რომლებსაც „საფეხბურთო ცეკვა" უწოდა. სხვადასხვა მატჩებიდან აღებულ მომენტებში, მართლაც, არის ცეკვის გარკვეული მომენტები, თუმცა, მწვანე მინდ[illegible] გამართულ დაძა[illegible]ზე [illegible]ულ, შეუპოვარ ბრძ[illegible]ლას უწყინარ ცეკვასთან მცირე რამ თუ აქვს საერთო.

ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვთავაზობთ „სტადიონის" მიერ შერჩეულ „საცეკვაო-საფეხბურთო" მომენტებს.

ბურთი წყალზე

სსრ კავშირის ჩემპიონატი

ხვალ მოსკოვსა და თბილისში იწყება სსრ კავშირის წყალბურთელთა ჩემპიონატის I წრის I ტურის მატჩები. თბილისში გამოვლენ სსრ კავშირის ჩემპიონები — ალმა-ათის დინამოელები, მათი კიეველი, თბილისელი და ლვოველი თანაკლუბელები, აგრეთვე შავი ზღვის წითელდროშოვანი ფლოტისა (სევასტოპოლის შწფ) და კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის (ბაქოს კწფ) წყალბურთელები.

თბილისის ჯგუფში მოხვედრილი გუნდები საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზში იასპარეზებენ.

შეხვედრათა განრიგი ასეთია:

12 იანვარი. „დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (თბილისი); შწფ — კწფ, „დინამო“ (ლვოვი) — „დინამო“ (ალმა-ათა).

13 იანვარი. „დინამო“ (ალმა-ათა) — „დინამო“ (კიევი), შწფ — „დინამო“ (ლვოვი), კწფ — „დინამო“ (თბილისი).

14 იანვარი. „დინამო“ (კიევი) — შწფ, „დინამო“ (ლვოვი) — კწფ, „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (ალმა-ათა);

15 იანვარი. „დინამო“ (ლვოვი) — „დინამო“ (კიევი), კწფ — „დინამო“ (ალმა-ათა), შწფ — „დინამო“ (თბილისი).

16 იანვარი. „დინამო“ (კიევი) — კწფ, „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (ლვოვი), „დინამო“ (ალმა-ათა) — შწფ.

მაშ ასე, იწყება დიდი წყალბურთი. სპორტის მოყვარულებს საშუალება აქვთ ნახონ დაძაბული და საინტერესო პაექრობა. ვფიქრობთ, მათი აქტიური მხარდაჭერით გამხნევებული თბილისელი წყალბურთელები მთელი შემართებით, ვაჟკაცურად იბრძოლებენ 1983 წლის სპორტული სეზონის პირველ, მეტად სერიოზულ შეჯიბრებაზე.

ასპარეზობანი 12, 13, 14 იანვარს 18 საათზე დაიწყება, 15 და 16 იანვარს კი—12 საათზე.

● წყალბურთი

საპრიზო ადგილზე

თბილისში, საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზში დამთავრდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ 1965-66 წლებში დაბადებული წყალბურთელები. როგორც ვიუწყებოდით, თბილისელებმა სძლიეს ალმა-ათისა (11:9) და კიევის (8:7) გუნდებს, ხოლო ლვოველებთან დამარცხდნენ (11:18). მომდევნო შეხვედრებში ჯერ ერევნელებთან გაიმარჯვეს (13:8), შემდეგ მოსკოველებთან დამარცხდნენ (8:14).

საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: მოსკოვი (12 ქულა), ლვოვი (8), თბილისი (6), ალმა-ათა (4), კიევი (2), სომხეთი (0).

თბილისელთა გუნდში გამოდიოდნენ: მეკარეები ზაზა გორგაძე და გიორგი კერესელიძე, ძმები ლევან და გოგა წულაძეები, სანდრო ბითაძე, სერგო რატიანი, ირაკლი ხუნწარია, გია ანთაძე, ვასილ ცოტაძე, გოგა სოხაძე, გელა ლაითაძე და კახა კანდელაკი.

გუნდის უფროსი მწვრთნელია თ. ივანიშვილი, მწვრთნელი ზ. გლურჯიძე.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი გუნდი 1977 წელს „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი იყო. მას შემდეგ ჩემპიონობას ვინ ჩივის, არც ერთი საპრიზო ადგილი არ რგებიათ. ასე რომ, ახლანდელი III ადგილი გუნდის დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

ტურნირის დამთავრების მერე ვესაუბრეთ „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს წყალბურთელთა უფროს მწვრთნელს, სპორტის ოსტატ ბ. უხოვს.

— ტურნირმა დაგვანახა, რომ გასულ წლებთან შედარებით თბილისელმა წყალბურთელებმა საგრძნობლად მოუმატეს თამაშს,— — გვითხრა მან —კარგი სპორტსმენი დადგება კახა კანდელაკი. მოსკოველთა გუნდშიც დიდი პროგრესი იგრძნობა, მათგან რომელიმეს გამოყოფა მიჭირს, რადგან გუნდი ყველა რგოლში თანაბარი ძალის წყალბურთელებით არის დაკომპლექტებული. ლვოვის გუნდი ტრადიციულად კარგად გამოდის ამგვარ შეჯიბრებებში. ამ გუნდის შრომისუნარიანი და მომთხოვნი მწვრთნელების წყალობით ლვოვის „დინამო“, რომელიც უმაღლესი ლიგის ბინადარია, კარგ შევსებას სწორედ თავიანთი სპორტსკოლის აღსაზრდელებისგან იღებს.

გ. დოლენჯაშვილი.

• • •

სურათებზე: **სარბიელზე არიან თბილისელი და ერევნელი წყალბურთელები; საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ბ. მარგიევი; ასპარეზობენ მოსკოველი და კიეველი წყალბურთელები; თბილისის „დინამოს“ ნორჩ წყალბურთელთა გუნდი (მარცხნიდან პირველი — მწვრთნელი თ. ივანიშვილი); თბილისელ სპორტსმენებს მხურვალედ გულშემატკივრობდა მაყურებელი.**

ავტორის ფოტოები.

რეპორტაჟი ტოკიოდან,

ანუ სუმოს რთული ხელოვნება

ტოკიო. ტრადიციული საახალწლო ტურნირი სუმოში. ფინალში ერთმანეთს ხვდებიან ქვეყნის ჩემპიონი, 27 წლის კიტანუმი (179 სმ, 166 კგ) მეტსახელად „ჩრდილოეთის ტბელი“ და 25 წლის შიონოფუძი (181 სმ, 122 კგ), მეტსახელად „უზენაესი ფუძი“, რომელმაც ფინალამდე 14 სუმისტი დაამარცხა, კიტანუმიმ კი ცამეტ შეხვედრაში გაიმარჯვა. მოულოდნელი იყო მისი მარცხი ცურიდაჩისთან. შერკინების ერთ-ერთ მომენტში ჩემპიონმა მოადუნა ყურადღება, რამაც მოწინააღმდეგეს [illegible] საშუალება მისცა ქამრით დაეთრია იგი და [illegible] განსაკუთრებული ფიზიკური ძალის წყალობით წრიდან გადაეგდო. გაჩირაღდნებულ დარბაზში მსხდომი ათასობით მაყურებელი მოუთმენლად ელის ფინალისტების გამოჩენას. ვინ გაიმარჯვებს? კიტანუმი თავისი გამოცდილებისა და დიდი წონის წყალობით თუ შიონოფუძი, რომელიც ათლეტური აგებულებით, დიდი სისწრაფითა და პლასტიკურობით გამოირჩევა? მაყურებელთა, განსაკუთრებით მანდილოსანთა, სიმპათიები ამ უკანასკნელის მხარეზეა...

რას წარმოადგენს ჭიდაობა სუმო? წრისებურ საჭიდაო არენაზე, რომელიც დაფარულია დაწნული ჭილობით, სუმისტები თითქმის შიშველნი გამოდიან, წელზე ფართო ქამრითა და თმის თავისებური ვარცხნილობით. მათი მიზანია მოწინააღმდეგის წრიდან გადაგდება. მოჭიდავეების გამოჩენას მაყურებელი ყოველთვის სრული სიჩუმით ხვდება. დარბაზი ხედავს და გრძნობს, თუ როგორ არის დაძაბული სუმისტის უზარმაზარი სხეული, როგორ აზერხებს იგი მთელი ენერგიისა და გამბედაობის კონცენტრაციას. სუმისტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პირად წონას, რომელიც წლების განმავლობაში განსაზღვრული კანონზომიერებით მატულობს. მათთვის დაწესებულია ლიმიტი: მოჭიდავე არ უნდა იყოს 100 კგ-ზე მსუბუქი და 170 სმ-ზე ნაკლები სიმაღლის. თავისებური რეკორდი ეკუთვნის ტაკანიამას, რომელიც 198,5 კგ-ს იწონიდა, სიმაღლით კი 191 სმ იყო. მაგრამ დიდი წონა საკმარისი არ არის. საჭიროა ტექნიკა, სიმკვირცხლე და რაც მთავარია, როგორც იაპონელები ამბობენ, „კაიტო სეიჩინ“, რაც გამბედაობას ნიშნავს. ყოველივე ამას რომ მიაღწიო, სუმოს თავი უნდა შესწირო, ბავშვობიდანვე ყაზარმულ ცხოვრებას — ყოველდღიურ მძიმე წვრთნას უნდა შეეჩვიო და წელიწადში ექვს თხუთმეტდღიან ტურნირში მიიღო მონაწილეობა. სწორედ ამგვარი მძიმე დატვირთვების გამო, სუმისტების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 30 წელს არ აღემატება.

ასეთია სუმოს რთული ხელოვნება, რომელმაც თავისი ათასწლოვანი ისტორიის მანძილზე ღრმად გაიდგა ფესვები იაპონელ ხალხში და განსაკუთრებით მის დაბალ ფენებში, საიდანაც სუმისტების უმრავლესობა გამოვიდა. ხალხი პატივს სცემს მათ თავგანწირვასა და ვაჟკაცობას. სპორტის ეს ეროვნული სახეობა იაპონიაში ხელოვნებად იქცა. ხელოვნება კი მსხვერპლს მოითხოვს.

ფრანგულიდან თარგმნა

ბ. თათეიშვილმა.

პანორამა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი

უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების ფინალური ტურნირის დასკვნით ეტაპზე კიდევ ორი მატჩი გაიმართა. მინსკში ადგილობრივმა რტი-მ უმასპინძლა კიევის „სტროიტელს“ და დამარცხდა — 63:71 (37:37). ცსკა-მ წააგო მოსკოვის „დინამოსთან“ 88:92 (52:37).

მთელი მატჩის მანძილზე არმიელები ფლობდნენ ინიციატივას, მაგრამ უკანასკნელ წუთებზე დინამოელები დაწინაურდნენ. გამარჯვებულთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო ფესენკო — 28 ქულა, არმიელთაგან — ლოპატოვი—20.

● ტრამპლინიდან ხტომა

გდრ-ის „მფრინავმა მოთხილამურემ“ ჰოლგერ ფრეიტაგმა გაიმარჯვა მსოფლიოს თასის გათამაშების მეექვსე ეტაპზე, რომელიც ჩეხოსლოვაკიის ზამთრის კურორტ გარახოვკას ტრამპლინზე გაიმართა. მან 90-მეტრიან ტრამპლინიდან 113,5 და 114 მეტრებზე „იფრინა“ და 254 ქულა მოაგროვა.

ექვსი ეტაპის შემდეგ ასპარეზობას ფინელი სპორტსმენი მატი ნოკიანენი ლიდერობს.

● ციგაობა

მოსკოველმა მსოფლიო ჩემპიონმა ს. დანილინმა ყველას აჯობა შვეციის ქალაქ ჰამარსტრანდში გამართულ მსოფლიოს თასის სტარტზე. საბჭოთა მოციგავემ კილომეტრიან მანძილს 2.15,60 მოანდომა (სამი გარბოლის ჯამში), ქალებში — 900-მეტრიან ტრასაზე წარმატება წილად ხვდა გდრ-ის სპორტსმენს უტე ვაისს — 2.04,66. მოსკოველი ე. პოროსოვა მეორეა — 2.06,17.

● ფიგურული ციგურაობა

ჩელიაბინსკში გამართული საკავშირო პირველობა დაამშვენა მოცეკვავე წყვილთა თავისუფალი პროგრამით გამოსვლებმა. კონკურენციის გარეშე აღმოჩნდნენ მოსკოველი სტუდენტები 23 წლის ნ. ბესტემიანოვა და 25 წლის ა. ბუკინი, რომლებმაც უმაღლესი შეფასებები დაიმსახურეს. ვერცხლის მედლები გადაეცათ მათ თანაგუნდელებს ო. ვოლოჟინსკაიასა და ა. სვინინს. დაძაბულად წარიმართა მესამე ადგილისათვის ბრძოლა. ბრინჯაოს მედლები დნეპროპეტროვსკელმა ნ. კარამიშევამ და რ. სინიცინმა დაისაკუთრეს.

ერთეულ ვაჟთა შორის ოქროს მედალი მოსკოველმა ა. ფადეევმა მოიპოვა, „ვერცხლი“ — ლენინგრადელმა ი. ბობრინმა, „ბრინჯაო“ — ხარკოველმა ვ. ეგოროვმა.

ქალთა შეჯიბრებაში უძლიერესის ტიტული მოსკოველ ე. ვოდორეზოვას ხვდა წილად, მეორე ადგილზეა მისი თანაგუნდელი ა. კონდრაშოვა, მესამეზე—ლენინგრადელი ა. ანტონოვა.

● ჩოგბურთი

საგვთოთა ჩოგბურთელებმა კვირას ლუჟნიკის მცირე სპორტულ სარბიელზე სამეფო თასის გათამაშების მორიგი მატჩი ჩაატარეს გფრ-ის ნაკრებთან.

ერთეულთა შეხვედრების შემდეგ ანგარიში საყაიმო იყო: ვ. ბორისოვმა დაამარცხა ჰ.-ი. შვაიერი — 7:6, 6:1, ხოლო ა. ზვერევმა წააგო მ. ვესტფალთან— 4:6, 6:3, 4:6.

ყველაფერს წყვილთა ასპარეზობა წყვეტდა. ბორისოვი და ა. პუგაევი ხვდებოდნენ დ. კერეტიჩსა და ვ. პოპს. ანგარიშით 7:6, 6:7, 6:4 გაიმარჯვეს დასავლეთგერმანელმა სპორტსმენებმა.

● ფრენბურთი

ლაიფციგში გრძელდება ფრენბურთელ ქალთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი, სადაც დაუმარცხებლად იბრძვის ცსკა-ს გუნდი. მორიგ მატჩში მოსკოველებმა მოუგეს, შვერინის „ტრაქტორს“ —3:1.

რედაქტორი ა. ბასილაია.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით
საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 ИНДЕКС 66435 უე 08619